სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი
LEPL INTERNATIONAL EDUCATION CENTER

MES 8 22 0000919479

18/08/2022

მოქალაქე ვიქტორ დათაშვილს
ელ.ფოსტა: foi+request-866-81ad397a@askgov.ge

ბატონო ვიქტორ,

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში 2022 წლის 8 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსული N880443 (სამინისტროში რეგისტრაციის: N879816; 08.08.2022) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ცენტრი ახორციელებს სასტიპენდიო/საგრანტო პროგრამებს და პროგრამის ფარგლებში, საკონკურსო წესით გასცემს მიზნობრივ გრანტებს მხოლოდ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მიზნით.

აქვე გაცნობებთ, რომ სწავლის დასრულების თარიღი განსხვავებულია ცალკეული უნივერსიტეტების საქმისწარმოების შესაბამისად. ამასთან, ცენტრი არ აწარმოებს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას. ცენტრის მიერ პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ბენეფიციარის მხრიდან შესაბამის ვადებში დაბრუნების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ცენტრი მიმართავს სამართლებრივ ღონისძიებებს.

თქვენს მიერ მოთხოვნილი სტატისტიკა იხილეთ დანართი N1-ის სახით.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ჭელიძე

ი.ჭავჭავაძის გამზ. 7, თბილისი 0179, საქართველო
032 297 01 97
info-iec@iec.gov.ge
iec.gov.ge